მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

თბილისი

14 მარტი. 2019 წ.

ეძლევა შპს „ არია “ - ს, სნ 405309116 /შემდგომში - „საზოგადოება“/ წარმომადგენლებს ბადრი ნიაურს /პნ 01010014173/ მოჰამედალი არჯმანდფურ-ს (პნ 01194000461) და ნათია ლობჟანიძეს /პნ 01002015279/ მასზედ, რომ საზოგადოების სახელით უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ქალაქ თბილისის მერიის (საქალაქო სამსახურებში), აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვაში.

ამ რწმუნებით მათ ენიჭებათ ყველა ის უფლება და მოვალეობა, რაც გააჩნია მოსარჩელეს, მოპასუხესა და მესამე პირს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ისინი უფლებამოსილნი არიან საზოგადოების სახელით შეასრულონ ყველა საპროცესო მოქმედება, მათ შორის შეიტანონ განცხადება, აღძრან სარჩელი სასამართლოში, გადასცენ საქმე არბიტრაჟს, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, შეცვალონ სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, სცნონ სარჩელი ან საქმე დაამთავრონ მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლოს ნებისმიერი აქტი, შეადგინონ და წარადგინონ როგორც სააპელაციო ისე საკასაციო საჩივარი, აღსასრულებლად წარადგინონ სააღსრულებო ფურცელი და აწარმოონ ნებისმიერი მოქმედება სააღსრულებო ორგანოში მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად, რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია და ძალაშია 2019 წლის 14 მარტიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დირექტორი

მეჰდი იზადნეგაჰდარი

საქართველო. შპს "არია" ARIA 405309116 GEORGIA. "ARIA" LLC